ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2886812

ნომერი: AR1448126

თარიღი : 11.10.2016

გაცემის თარიღი : 12.10.2016

გაცნობის თარიღი : 12.10.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჟენია ზაქარაშვილი პ/ნ 01030020597
- თბილისი ნ.ჩხეიძის ქ. N 30

ორგანიზაცია:
- შპს "კლასიკ დეველოპმენტ" კოდი: 402020184

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 12/10/2016წ. №AR1448126 განაცხადი, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 05/11/2015წ. №2281943 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 21/08/2015წ. №2051226 ბრძანებით ქალაქი თბილისი, ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი) №8-ში მდებარე №01.13.06.008.078 (საერთო ფართობი: 1523 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულისთვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე სამსახურის 05/11/2015წ. №2281943 ბრძანებით დასახელებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 06 ნოემბრიდან 2018 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით.

დღეისათვის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხ.რეგისტრაციის №882016592933 - მომზ. თარიღ.: 20/09/2016 19:26:36) №01.13.06.008.083; №01.13.06.008.084 და №01.13.06.008.085 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად დარეგისტრირდა საკადასტრო ერთეული №01.13.06.008.086 დაზუსტებული ფართობით – 1523.00 კვ.მ.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სამსახურის 06/10/2016 წლის №2877976 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 21/08/2015წ. №2051226 ბრძანებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა-1523 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - №01.13.06.008.086, ასევე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად შეიცვალა მიწის ნაკვეთის მონაცემები, განახლებულია საკადასტრო გეგმა / რუკა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შესაბამისი ცვლილებაც უკვე აისახა, აღნიშნული წარმოადგენს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირების საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სამსახურს უნდა მომართოთ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის, არამედ 05/11/2015წ. №2281943 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილების (კორექტირების) ნომენკლატურით.